# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვ. ს საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.**

### რედაქციისაგან

განმეორებით ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ვისაც მხოლოდ 5 მანეთი აქვს შემოტანილი და მაისის დამდეგს დანარჩენი ხუთი მანათიც არ წარმოადგინა, — გაზეთის გზავნა მოესპო. (10—3)

ტფილისი, 3 ივნისს

ეს ერთი თვეა, თუ მეტ-ნაკლები, იქნება რაც გაზეთები ლაპარაკობენ, ვითომ რუსეთსა და ჩინეთს შუა რაღაც სამდურავი გაჩნდაო. რუსეთის მომხრე გაზეთები ან სულ უარ-ჰყოფენ ამ სამდურავსა, ან ისე უღონო სამდურავად სთვლიან, რომ დიდ-ყურადღების ღირსად არა ჰხადიან და ამტკიცებენ, რომ მესამზღვრეთა სახელმწიფოთა შორის, როგორებიც არიან ჩინეთი და რუსეთიო, ხშირად შეხვდება კაცი მიზეზს მცირეოდენის სამდურავისას, მაგრამ აქედამ განხეთქილებამდე მეტად შორს არისო. ხოლო არიან იმისთანა გაზეთებიც, რომელნიც .. ზოგჯერ ბუზს აქლემადა ჰხდიან, იმიტომ-რომ რაც აგონდებათ, ის ეზმანებათ ხოლმე.

აი ის მიზეზებიც: 1884 წლამდე რუსეთსა და ჩინეთს დავა აუტყდათ სამზღვარის გატარების გამო. 1884 წელს ამ სამზღვარის გატარებაზედ როგორც იყო მორიგდნენ და დარჩათ მხოლოდ სამხრეთ-უსურიის ქვეყნისა და მანჯურიის შუა მიჯნები ჩასაყრელი. სამხრეთ-უსურიის ქვეყანა რუსეთისაა და მანჯურია ჩინეთისა. ამათ შორის მიჯნა უნდა ყოფილიყო გატარებული იმ მორიგების ოქმის ძალითა, რომელიც ამ ორთა სახელმწიფოთა შორის შესდგა 1861 წ. ხოლო კამმისიამ, რომელსაც ეს საქმე მინდობილი ჰქონდა, ამ ორ ქვეყნის შუა... მიჯნები ნიშნობლივ ვერ გაატარა და ვერ ჩასხა. სწორედ ამ გაუმიჯნველ ადგილას რუსეთმა ერთი სოფელი საველოვკა გააშენა. ჩინეთს უსათუოდ ეს ახალ-შენის სოფლის ადგილი თავისად ჰგონებია და თუ ეხლა რამ ლაპარაკი აქვს ჩინეთსა რუსეთთან, ამ ადგილის გამო ექმნება. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს ისეთი სალაპარაკო საგანი არ არის, რომ განხეთქილებას მოასწავებდეს, მით უფრო რომ უსურიისა და მანჯურიის შუა თითქმის მიჯნა მთლად თავიდამ ბოლომდე გასაზღვრულია და უკვე გატარებულიცა. ამიტომაც საფიქრებელი არ არის, რომ იმ პატარა ადგილის გამო, რომელიც სოფელს საველოვკას დაუჭერია, რაიმე უსიამოვნება აიშალოს ამ ორთა სახელმწიფოთა შორის. უსათუოდ ერთმანეთთან მოლაპარაკებით გათავდება ამისი შესახები საქმე... ცა მართალი არავინ იცის, მაგრამ ეხლანდელის მითამ და სამდურავის ერთს მიზეზად ამას ჰხადიან მეორე მიზეზი თურმე ერთი მდინარეა, რომელიც სამხრეთიდამ ერთვის ამურსა, რუსეთის მდინარესა და რომელსაც სათავე აქვს ჩინეთის ადგილში მანჯურიაში. ამ მდინარეს სუნგირი ჰქვიან და გემთ-მატარებელი მდინარეა. ამბობენ, ჩინეთს კარგა ხანია დაუთმია რუსეთისათვის ნება გემების ტარებისა ამ მდინარეზედ. მიუხედავად ამისა, მანჯურიის გამგებელნი, ჩინეთის მოხელენი.... თურმე აბრკოლებენ... არის, მაგრამ რუსეთის გემებს თავისი უქმნიათ და ბევრჯელ შესულან ამ წყალში, უტარებიათ გემები და უვლიათ მანჯურიის ქალაქამდე, რომელსაც ჰირინი ჰქვიან...

სუნგირის ამურთან შესართავიდამ თვით ამურს სუნგირს ეძახიან იქაურნი მკვიდრნი. ეხლა ასე გამოდის, რომ ჩინეთი ეცილება რუსეთს, სუნგირს, რომელიც, რაკი ამურს ერთვის სუნგირი აღარ არის, არამედ ნაწილია ამურისა, რომელიც ამ შესართავიდამ იწყობა, თითქმის მთელის მანჯურიის მიჯნაზედ მიდის ნიკოლაევსკში და აქ ჩადის ზღვაში.

ასე ჰხსნიან დღევანდელის სამდურავის მიზეზებს გაზეთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ რუსეთს და ჩინეთს დღეს ისეთი სალაპარაკო არა აქვთ რაო, და...

## ახალი ამბავი

*** კვირას, 1 ივნისს ქართულმა დრამატიულმა დასმა ერთი უკანასკნელი წარმოდგენა კიდევ გამართა. წარმოადგინეს კამოლეტის დრამა „მონასტრის ზღუდეთა შორის, ანუ დატერეზია“. წარმოდგენას ხალხი მეტად ცოტა დაესწრო. რადგანაც საზოგადოება ნაკლებ დაესწრო, წარმოდგენა თითქმის ათის ნახევარ საათზედ დაიწყეს, ასე რომ ორს საათს არა უკლდა-რა, რომ ხალხი დაიშალა თეატრიდამ. წარმოდგენა პირველში რიგზედ მიდიოდა, თითქოს როლებიც კი დაესწავლათ მოთამაშეებს, რაც ქართულის საზოგადოებისათვის მეტად გასაოცარი იყო. მაგრამ დაიწყო მეოთხე მოქმედება და მასთან აირივნენ არტისტები. მონოზნების გამოსვლისთანავე სცენაზე, ხალხმა დაიწყო ხარხარი და თითქმის გათავებამდე არ შეუწყვეტია. სიცილის მიზეზი ის იყო, რომ მონოზნებად სულ თორმეტის წლის ქალები, თუ ვაჟები—არ ვიცით, იყვნენ ჩაცმულნი. ვერაფრად სანაქებოა ეს ამბავი ქართულის არტისტებისათვის.

*** ჩვენი არტისტები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში წასვლას და წარმოდგენების გამართვას აპირებენ. მათის სიტყვით, ამ მოგზაურობას სულ ერთს თვეს მოანდომებენ. აი რა ადგილებში აპირებენ წასვლას და რომელს ქალაქებში რამდენს ხანს დარჩებიან: გორში—1 დღეს დარჩებიან, ცხინვალს—1 დღეს, ქუთაისს—3, ხონს—1, ფოთს—2, ბათუმს—2, ოზურგეთს—2, ზუგდიდს—1, სურამში—1, ბორჯომში—1, ახალ-ციხეს—2, აბასთუმანში—2, სიღნაღს—2, თუქურმიშას—1, ზაქათალას—1, თელავში—2 და თიონეთში—2 დღეს. ჩვენის აზრით, ეს მოგზაურობა დიდად სასარგებლო იქნება ჩვენის ხალხისათვის, რომელიც სრულიად მოკლებულია ამ გვარს სახილველს.

*** ბ-ნის უფროსის პოლიცეიმეისტერის ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფრიად საჭირო საგანზედ. ჩვენ ვამბობთ იმაზედ, რომ საზოგადოდ ჩვენს პოლიციის მოხელეთ—«გოროდოვოებს» მეტად დიდი ადგილი აქვსთ მინდობილი სათვალყუროდ და ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას რიგზედ. მაგალითებრ, ერთს პოლიციელსა აქვს მინდობილი „პარიჟის“ სასტუმროდგან მოყოლებული სასახლემდე ადგილი და როდესაც პოლიციელი ერთ ბოლოზეა, მეორეზე კაციც რომ მოკლა—ხმის გამცემი არა-

## ფელეტონი

### გურულების ყოფა-ცხოვრება

(შემდეგი*)

იკლო გურიაში ერთმა ძველმა სიმდიდრემ—ფუტკარმა, მაგრამ სამაგიეროდ სწორედ ამ დროს დაიბადა სიმდიდრის მეორე წყარო. მე მოგახსენებთ თამბაქოზედ.

გურულ გლეხებთან ერთად მეც ვეკითხავ: რა მოუვიდოდა ხალხს, რომ თამბაქოს მოყვანა არ დაეწყოთ ჩვენში? თუ მივიღებთ მხედველობაში, ყველა ზემო-თქმულის გურულების შემოსავლის სიმცირეს და ქვემო-მოყვანილ უთავ-ბოლო ხარჯს, ხალხი უნდა დასაწყლებულიყო უკიდურესად; მცხოვრებლებს სული მოუბრუნა ამ მცენარემ. აქ უნდა შევნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა, რომ თამბაქო, რომელიც მთელ გურიის ნიადაგზედ უხვად მოდის, არ არის გავრცელებული დასავლეთ-გურიაში; აქ მხოლოდ იმდენი მოჰყავთ თამბაქო, რამდენიც მათის ჩიბუხებისათვის საკმარისია. ეს მიეწერება მცხოვრებლების დაუდევნელობასა და გაუგებრობასა. ნუ თუ თავის კარის მეზობლისაგან მაინც მაგალითი ვერ აიღეს?

ხუთმეტი წელი იქნება მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ-გურიაში მოჰყავთ თამბაქო, ამ დროს განმავლობაში თან-და-თან ვრცელდებოდა ეს მცენარე და დღეს ბლომად მოჰყავთ. არ იქმნება აქ ისეთი კომლი, რომელსაც თითო ქცევა მიწა მაინც არა ჰქონდეს თამბაქოთი მორგული; იშვიათი არ არის, რომ ათი და ხუთმეტი ქცევაც იყოს მორგული, განსაკუთრებით თავადებისა და აზნაურებისა. ერთი მიზეზი, რომელიც ასე ავრცელებს თამბაქოს მოყვანასა, არის ის, რომ მის მუშაობას ადვილად აძერხებენ ყმაწვილები და ქალები. გაზაფხულის დამლევს წინად სათამბაქოდ დამზადებული მიწები მოიფინებიან ხოლმე ყმაწვილებითა და ქალებით, უფრო ახალ-გაზდებით,—ერთი მათგანი სარს ასობს მიწაში, მეორე იქ წყალს ასხამს, სხვები-კი ნერგებით კალთებში და კალათებში მიზდევენ უკან. თამბაქოს მოვლის საქმე ამითი არა თავდება. იმათ შეუძლიანთ „კვირტვა“, შეტეხა, გაკიდება და დაკეცა თამბაქოსი. თუმცა მწარე სამუშაო თამბაქო, მაგრამ «ტკბილი ფულები იცის», როგორც ხალხი ამბობს ხოლმე და ამისთვის არ ერიდებიან ამ სიმწარეს. ერთის სიტყვით, დღევანდელის გურულების უმეტესობის ალებ-მიცემობის საფუძველს თამბაქო შეადგენს; ამისათვის არ იქნება მეტი, ამაზედ ცოტა დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

თამბაქოს შემუშავების წესი ჩვენში არ ემორჩილება არავითარ შემუშავებულ კანონს: მუშაობენ ისე, როგორც უფრო ადვილად დაინახვენ. ხშირად თამბაქოსთვის მიწას არ თოხნიან და არც ლობავენ; მივლენ უბრალო მიწაზედ, დარგავენ შიგ ნერგს, მხოლოდ შემდეგ გამარგვლის დროს შემოაცლიან ბალახს და შეუნგრევენ ძირში მიწას. თამბაქოს შემმუშავებელნი უფრო იმას უყურებენ, რომ ბევრი მოუვიდეთ, და როგორი ღირსებისა იქმნება, ამას არ დაგიდევენ. ამისათვის შემოსულსა და შემოუსვლელ ფოთლებს, დამპალსა და კარგს ურევენ ერთმანეთში და ისე ჰკიდებენ გასახმობად ისეთ ალაგას, სადაც თამბაქო ჰკარგავს ერთს თავის პირველ ღირსებას—ფერს და ხშირად ლპება კიდეც. ერთის სიტყვით, გურული თამბაქოს საოცარის გაუფრთხილებლობით ეპყრობა. ეგ კიდევ მიეტევება, რადგანაც თამბაქო ისეთ დროს შემოდის, როცა ყანებიც მომწიფებულია და დრო აღარ აძლევს ნებას აუჩქარებლად და სუფთად მოუაროს პირველს, რომ მეორე საქმე ხელიდამ არ წაუვიდეს. მაგრამ რით გავამართლოთ ზამთარში, როცა ჰკეცავს თამბაქოს? მაშინ ხომ არაფერი აჩქარებს? რად ჰკეცავს თამბაქოს ასე არეულ-დარეულად და გადურჩევლად?

როგორც უნდა ეპყრობოდნენ მუშები ჩვენში თამბაქოს, ყოველ შემთხვევაში ქცევა მიწა გვაძლევს თითო მოსავალზედ 12—25 ფუთს (აქ თამბაქო თითო მოსავალი მოჰყავთ წელიწადში, თუმცა ერთი რუსის აგრონომი, რომელსაც შეუსწავლია ჩვენი ნიადაგი, გვარწმუნებს რომ ადვილად შეიძლება ორი მოსავლის მოყვანა ერთსა და იმავე ძირზედაო). ზემო ნაჩვენების წესით მოყვანილი თამბაქო, რასაკვირველია, ბევრ ღირსებას იქმნება მოკლებული. ამისათვის ჩვენი თამბაქო ვერ უწევს ცილობას სამხრეთ-რუსეთის და სხვა, უფრო წესიერად შემუშავებულ თამბაქოს. ამასთან ყველანი, ვისაც ჩვენი თამბაქო შეუდარებია სხვა თამბაქოებთან, თანხმანი არიან, რომ ბუნებით ჩვენი თამბაქო ბევრად უკეთესია სხვა თამბაქოებზედ. გურულის თამბაქოს უმთავრესი ბაზარი ტფილისი და ქუთაისია, თამბაქო მიაქვთ აგრეთვე ამ ბოლოს დროს ოდესელ მექარხნეებსაც. ყველა ამ ადგილებში ჩვენი თამბაქო ისყიდება ისე იაფად, რომ სანახევროდაც არ შეეფერება მის ნამდვილ ფასსა და ღირსებას. მიზეზი ამისა ის არის რომ მყიდველთა შორის ცილობა არ არის. ესენი, საიდამაც უნდა იყვნენ, მხოლოდ რამოდენიმენი არიან, უმეტესს ნაწილად ერთმანერთს იცნობენ, პირობა აქვთ შეკრული, რა ფასად იყიდონ თამბაქო და ისე მოქმედებენ, გამყიდველნი კი არიან მრავალნი, რომელთ შორისაც ერთად პირის შეკვრა მოუხერხებელია.—ტფილისელ მექარხნეებს და აგრეთვე ქუთათურებსაც ჰყავთ ჩვენში დარიგებულნი აგენტებად ადგილობრივნი მცხოვრებნი. ამ აგენტებმა, რასაკვირველია, კარგად იციან თავიანთი მეზობლების გაჭირვების დრო როდის არის, სწორედ ამ გაჭირვების დროს მიაწვდიან მათ ხელში ორიოდე თუმანს და ამით იბეიებენ კიდევ ახალ დარგულ თამბაქოს ისე იაფად, როგორც მათ ჰსურთ, 3—5 მანათამდის ფუთს. ამით დიდი ზარალი ეძლევა თვით წარმოებას. თამბაქოს პატრონი გასყიდულ მცენარეს ეპყრობა ძლიერ გულ-აყრით. კარგად იცის, რომ შესანიშნავიც რომ იყოს მისი თამბაქო, გადაჭრილ ფასზედ მეტს არ მისცემენ. თუ აგენტი დაიწუნებს ასეთ თამბაქოს, საწყალი გლეხი სხვასთანაც ველარ ასაღებს.—ვინც იმდენად შეძლებულია, რომ შეაგროვებს

*) იხ. «ივერია» 1886 წ. № 114.

ვინ არ არის. ამ საქმის შესრულება უფრო ღამეა ძნელი. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოგვყავს ერთი ამბავი, რომლის დამსწრეთა შორის ჩვენც ვიყავით. პირველ კლასიკურის გიმნაზიის ქვემო პატარა კარებთან კვირას, 1 ივნისს, ღამის ორს საათზედ ვიღაცა კაცი რიგიანად ჩაცმული, ეტყობოდა რომ კაი ოჯახიდამ უნდა ყოფილიყო, იწვა და ძინა. რომ გაგვეფრთხილებინა ჯიბგირებისაგან, რომელნიც ამისთანა შემთხვევას სანთლით დაეძებენ და სულ რომ ვერა იპოვონ-რა—წაღებს გახდიან, ბევრი ვეძახეთ, მაგრამ ვერა გავაგებინეთ-რა, დალეული იყო. პოლიციელს დავუწყეთ ძახილი, მაგრამ არავინ ხმა არ გაგვცა. ბოლოს მობეზრებულნი მივედით სასახლესთან და მის წინ მოსიარულე პოლიციელს № 89 შევატყობინეთ და ფაეტონით პოლიციაში წავაყვანინეთ, რადგანაც იქამდე დალეული იყო, რომ ხმის ამოღების სავატობა არა ჰქონდა, რომ თვისი სახლი ესწავლებინა. კარგი იქნებოდა, რომ პოლიციელთა რიცხვი ცოტა გაემრავლებინათ და უფრო ახლო-ახლო დაენიშნათ მეთვალყურედ სხვა-და-სხვა ავაზაკობათა და ქურდობათა ასაცილებლად.

*** სამეცნიერო კომიტეტს საერო განათლების სამინისტროსას გაუსინჯავს ზოგიერთი ქართული სახელმძღვანელო წიგნები, მოუწონებია და საჭიროდ უცვნია მათი გავრცელება პირველ-დაწყებით სკოლებსა და პროგიმნაზიებში.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 3 განყოფილების მოსამართლის საჩივარი კერძო ვექილ ნიკოლოოზ იოსების-ძე მაევსკიზე, რომელსაც პირველი უჩიოდა სასამართლოში საქმის დაცვის დროს ურიგოდ მოქცევის გამო. სასამართლომ წესდების $406^{18}$ ძალით მაევსკის აღუკრძალა სხვათა საქმეთა დაცვა სასამართლოებში.

*** გლახებისა და მათხოვრების წრეს გასულს ქცევას თურმე ძალიან უჩივიან. იქამდე გათამამდნენ ეს ბატონები, რომ სახლებში უვარდებიან, ყმაწვილებს აშინებენ და ძალის ძალათი მოწყალებასა სთხოვენო. უმეტესი ნაწილი ამათში ცოტა ხელ-მრუდეაო და მით ურო საშიშია მათი სახლში შეშვებაო.

*** აგრეთვე მეტად უჩივიან ფოსტას და კარგი იქნებოდა, რომ ფოსტის გამგეობას ამ საჩივრისათვის ყურადღება მიექცია. მაგალითებრ, 30 მაისს ნაფიც ვექილ ა. ვ. სტეფანოვისათვის მიუტანიათ ორი წერილი რომიდგანა და ლონდონიდგან. როგორც საფოსტო ბეჭედს ეტყობოდა, პირველი ტფილისში მიეღოთ 3 მაისს და მეორე—20-სათ. ასე რომ ერთი 27 დღე და მეორე 10 დღე გდებულა ფოსტაშიო.

*** ციციანოვის აღმართზე მუშაობისათვის კვლავ მიუყვიათ ხელი და, როგორც ეტყობა, ჩქარა იქნება მზად გზაო. ახალი გზა კარგად არის გაყვანილი და ძალიან მეტს შემწეობასა და შეღავათს მისცემს მცხოვრებლებსაო. მხოლოდ საჭიროა, რომ უეჭველად ქვით მოკირწყლონ ქუჩა და გზა-ტკეცილი კი არ გაიყვანონ, რადგანაც გზა ტკეცილმა ძალიან იცის ტალახიო.

*** გაზ. „კავკაზი"-ს საკუთარი დეპეშა ამბობს, სენატს სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება ყოლანოვის და სხვათა საქმის შესახებ, რომელთაც ყალბის ვექსილების დაწერა ჰბრალდებოდათ, არ შეუწყნარებიაო. ამ შეუწყნარებლობის მიზეზი გამოცხადებული არ არისო.

*** შაბათს, 31 მაისს, ბ-ნ N-საგან ერთ სახელმწიფო დაწესებულებიდგან ვიღაც ქურდს პალტო მოუპარავს. იმავე დღეს N-ს თავისი პალტო ერთ რიგიანად ჩაცმულ კაცის ტანზე უცვნია, რის წყალობითა და პოლიციის დახმარების შემწეობით N-ს ეს უცნობი პოლიციაში წაუყვანია. პალტო, რასაკვირველია, მაშინვე წაურთმევიათ და პალტოს ჯიბეში დებული ცხვირ-სახოცი და სიგარები კი აღარ აღმოჩენილან.

*** 18 იანვარს, 1886 წელს კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს საერო განათლების მინისტრისათვის მიურთმევია თხოვნა, რომ ქუთაისის ოლგინსკის საქალებო გიმნაზიას სადგომის გადასაკეთებლად, რომელიც წმ. ნინოს საზოგადოებას ეკუთვნის, მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდგან 10,000 მანათი. ეს თხოვნა მინისტრმა არ შეიწყნარა. ეს ამბავი შეატყობინეს კავკასიის მთავარ-მართებელს, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და მან იშუამდგომლა და ხელ-ახლად მიართვა ზემოხსენებული თხოვნა. 7 მარტს ფინანსთა მინისტრმა გამოუცხადა ქუთაისის საქალებო გიმნაზიის მზრუნველთა რჩევას, უმაღლესად ნაბძანებია, რომ თქვენი თხოვნა უნდა აღსრულდეს და ნათხოვნი 10,000 მანათი მოგეცეთო. გიმნაზიის სადგომის გადაკეთებისათვისაც უკვე ხელი მიუყვიათ.

*** 31 მაისს, პოლიციის 1 განყოფილებაში, ოლგინსკის ქუჩაზედ მიუგდიათ ყმაწვილი ქალი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, სულ ორის დღის დაბადებული უნდა ყოფილიყო. ყმაწვილი სახებით ინსტიტუტშია გაგზავნილი.

*** 31 მაისს ციხიდგან ახლად გამოშვებულს და პოლიციის განსაკუთრებითის მხედველობის ქვეშ მყოფს კოლლეჟსკი სეკრეტარს რეგისტრატორს ევდოკიმ ტრაფიმის ძე ვორობაევს მთვრალს მტკვარში უბანავნია და დამრჩვალა; დამრჩვალის გვამი ნაპოვნია.

*** 1 ივნისს, პოლიციის 5 განყოფილებაში, დიდს ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებელს მიხეილ შარაბოვს სიმთვრალის დროს ჩხუბი მოუვიდა ალექსანდროპოლის მცხოვრებელ იანოვსა და ევრაკიმს ტოხმაზოვებთან და ზაქარ კაკაზოვთან და სამივე დანით დასჭრა. ამათში კაკაზოვი, ვიდრე სამკურნალოში წაიყვანდნენ, გარდაიცვალა და დანარჩენებს კი სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინეს. დამნაშავე დატუსაღებულია.

*** 1 ივნისს, პოლიციის 3 განყოფილებაში, სუფაძეს სამიკიტნოში ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, სოფ. ბრაგალქალის მცხოვრებელ გლეხმა ივანე დავითის-ძე სხირტლაძემ სიმთვრალის დროს დამბაჩა დაცალა და მუცელში მოიხვედრა.

## დამაკვირდი!

გულ-მაგრობა უღონოთა ღონეა.
(ფენელონი)

—

ყველაზედ პატიოსანი და დამატკბობელი შურის-ძიება შენდობა და მიტევება.
(ბუახტი)

—

მშულდგარება და პირ-ფერობა—ორი წლის ქვეშეთი კლდეა, რომელსაც ზედ შეემსხვრევა ხოლმე ჭეშმარიტება.
(ლა როშფუკო)

—

სადამდე დაგზავდებოდეთ,
ეცადე საცადელია,
ომისა კარსა ნუ დაჰრეკ,
იცი, საქმნელად ძნელია. (მეფე ვახტანგ IV)

—

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა;
სულ-გრძელობითა ძლევა სჯობს
გაჯავრობითა ძლევასა. (ლარიმე)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. პატარძეული, 30 მაისს. ამას წინედ თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო კორრესპონდენცია იერის ხეობიდამ; კორრესპონდენტი სხვათა შორის იწერებოდა „ლესნიჩისა" და ტყის მცველების ვითომ და წრეს გარდასულს ქცევაზედ. კომლზედ 70 ჭიგვის მეტს არ აჭრევინებენ გლეხებს უბაქოდაო. ეს გარემოება რომ სრულიად ხელს უშლის მევენახობას და შეუძლებლადაც ჰხდის თითქმის, ამას თქმა აღარ უნდა. მართლაც და ჩვენს მხარეზედ ბევრს დღესაც შეუსარავი უგდია ვენახი. გლეხები ლაპარაკობენ, რომ თუ ესეთმა წესებმა დიდხანს გასტანესო, სულაც თავი უნდა დავანებოთ ვენახებსაო. ჭიგვის გარდა სხვა ტყის მასალაც, გლეხისათვის საჭირო, ძალიან ცოტა ეძლევა გლეხს, მაგ., შეშა, საურმე მასალა და სხვ.—ეს გარემოება სრულიადაც არ დაჰბრალდებათ ლესნიჩს და ტყის მცველებს. ესენი მხოლოდ ასრულებენ უმაღლესად დანიშნულს და შემოღებულს წესებს.—უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენს მხარეზედ დიდი ყურადღება მიაქციეს ტყის დაწვას. მაგრამ გლეხებსაც ამ ბოლოს დროს გაუჭირდათ, როდესაც არავითარი გამორჩენა არსაით არ არის, და არ შეუძლიანთ აძლიონ უზომო ბაქები ყოველთვის, როცა მოუნდებათ ტყეში წასვლა. ამისათვის ჩვენში დიდი შუღლი და უთანხმოება ჰსუფევს გლეხებსა და ტყის ყარაულთ შუა. დღე არ გავა, რომ არ შეეტაკონ ერთმანერთს, ტყის ყარაულები იჭერენ ტყის ქურდებს, ართმევენ მოჭრილს ტყეს, საქონელს, სხვერ იარაღს, უდგენენ ოქმებს. მარტო პატარძეულის ტყის «აბეზჩიკს» 150 ოქმზედ მეტი ექმნება შედგენილი ამ ახალ წელში.

ამას გარდა სხვა მიზეზებიც არის იმისი, რომ გლეხს ტყის ქურდობა არავითარ ცოდვად არ მიაჩნია..

ტყეების დაცვის მნიშვნელობა გლეხებს ხომ სრულიად არ ესმისთ,—ან საიდგან ეცოდინებათ, ვინ აუხსნიდა,—და ჯერ დიდ-ხნობამდეც ვერ გაიგებენ. გლეხ-კაცი კიდევ მიჰხვდებოდა როგორმე ტყის შეკვრის ნამდვილს მიზეზს, ტყეები რომ სრულებით შეკრული იყოს და არავის აჭრევინებდნენ არც ბაქით, არც უბაქოდ. მაგრამ ისინი ამას ვერ ჰხედავენ, და ამბობენ გაჯავრებულები:

და დაჰყცს თავის თამბაქოს და მერე მოემზადება გასასყიდად, იმანაც უნდა მიჰმართოს იმავე აგენტებს. მაგრამ, როგორც ზემოდ ვნახეთ, ამ ბატონებს დაჟინებით ჰსურთ, რაც შეიძლება იაფად იყიდონ, რადგანაც ამით მეფაბრიკეებისაგან პირადი სარგებლობა ექმნებათ. ყოველი აგენტი ფასს ათამაშებს ფუთზედ 5—8 მანათმდის. თამბაქოს პატრონებმა იციან, რომ ჭირს არა ეშველება-რა და ჰყიდიან იმ გვარად, როგორც მყიდველი მოიპრიანებს.

ჩემის აზრით, ამ გასაჭირის ასაცილებლად აი რა იქმნებოდა საჭირო,—თვითეულმა საზოგადოებამ (თითო საზოგადოება ჩვენში შესდგება 300—400 კომლისაგან) გააკეთოს საზოგადოების იმ ნაწილში, საიდამაც თამბაქო უნდა გაიზიდოს რომელსამე ქალაქში, თითო-თითო საწყობი თამბაქოსი. მთელის საზოგადოების მცხოვრებელთ უნდა შეჰკრან ურთი-ერთ შორის მტკიცე პირობა, რომ არავინ კერძოდ თამბაქოს გაყიდვა არ გაჰბედოს. რომ ეს პირობა არ დაირღვეს და საწყობსაც მოუაროს, ამისათვის უნდა იქმნას ამორჩეული საზოგადოებისაგან სანდო კაცი. (სამ-სამი კაცი საკმარისია!) ამ საწყობში საზოგადოებისაგან დაწესებულ დრომდე ყველამ უნდა მოაგროვოს თავისი თამბაქო. მიტანისათანავე თამბაქო უნდა აიწონოს პატრონის თანადასწრებით ამორჩეულთაგან და პატრონის სახელის წარწერით შენახულ იქმნას საწყობში, პატრონს კი სამაგიეროდ მიეცეს პატარა ბარათი ამის შესახებ. როცა მთელი საზოგადოების თამბაქო ერთ ალაგას თავს მოიყრის, მუშტრები მალე გაჩნდებიან, აგენტები შემოივანტებიან და თვით მეფაბრიკენი მოვლენ, ამათ შორის გაიმართება ცილობა, რადგანაც საწყობი თამბაქოს არ დაუთმობს წინადვე გადაჭრილ ფასს ნაკლებ, ეგ ფასი კი თამბაქოს ღირსების მიხედვით სამნაირი იქმნება. თვითეული საწყობი არ დასწევს, რასაკვირველია, ფასს, თუ სხვა საზოგადოების საწყობმა არ აიძულა. მაგრამ აქ საჭიროა კიდევ, რომ ყველა საწყობს ჰქონდეს ერთი პირობის წერილი, რომ ერთმანეთისა და საზოგადო სარგებლობა იქონიონ სახეში.

რადგანაც თვითეულ საზოგადოებას ეყოლება ამორჩეული კაცები, რომლებსაც, რასაკვირველია, ჯამაგირი უნდა ჰქონდეთ, ამისათვის, თუ საზოგადოება დაინახავს სასარგებლოდ, ამათ (გინდა სხვას) მიენიჭოს ნება თვალ-ყური ადევნონ თვით თამბაქოს წარმოებასაც, რომ ღირსებითაც თამბაქო კარგი იყოს. მე მგონია, ასე დაწყობილი საქმე ემჯობინება ახლანდელ უწესოდ საქმის წარმოებას და თამბაქო ჩალის ფასად აღარ დაფასდება, ამასთან ამ გვარად დაწყობილ საქმეს ხარჯიც არ უნდა დიდი. მართალია, სოფლელ ღარიბს თავის გაჭირვების დროს უნდა თავისი თამბაქო გაჰყიდოს; ხან გაჭირვება ისე დიდი და აუცილებელია, რომ აქ ხელის შეკვეთა უსამართლობა იქმნება, მაგრამ ამასაცა აქვს თავისი წამალი. მთელი საზოგადოება მოჰკრეფს რამოდენსამე მანეთს და შეადგენს პატარა თანხას; ეს თანხა იქმნება საწყობში და ყოველ ნამდვილ გაჭირვებულს ექმნება ნება ხელის მოსანაცვალებლად სესხად გაიტანოს საჭირო ფული. როცა თამბაქო გაეყიდება, იქვე გარდიხდის ვალს თავის სარგებლით. ამით საწყობში თან-და-თან გაიზრდება ფული და მალე საწყობის მოსამსახურეებისთვის იკმარებს ჯამაგირად.

ორი სიტყვა კიდევ თამბაქოზედ.— ასეა თუ ისე ამ უკანასკნელ დროს გურიიდამ კარგა ძალი თამბაქო გააქვთ; ისეთი საზოგადოებაც იქმნება, საიდამაც წელიწადში გავა 2,000 ფუთი თამბაქო. ფუთზედ რომ საშუალო რიცხვით 5 მან. ვიანგარიშოთ, მაშინაც გამოვა, რომ ასეთ საზოგადოებაში ბევრი ფული შემოდის ყოველ-წლივ და რომ ამის გამო უეჭველად უნდა დასტყობოდა საზოგადოებას კეთილ-დღეობის ნიშან-წყალი. მაგრამ არა, ისევ ის სიღარიბე, ისევ ის უარარაობა, სხვა-და-სხვა საჭირო მოთხოვნილებანი და ისევ ის ვალები, რომლებიც წინადაც აწვა ხალხს ამდენ სიმდიდრის შეძენამდის. მიზეზი ამისა ისიც არის, რომ ხალხი უთავბოლოდ ფლანგავს ფულებს და დამშეული ლუკმას, პირის მაგიერ, ზღვაში ისვრის ხოლმე, მაგრამ ამაზედ ქვემოდ ვილაპარაკებთ. თავი-და-თავი მიზეზი ამისა ის გარემოება გახლავთ, რომ თამბაქოს წარმოების გავრცელების გამო თან-და-თან კლებულობს სხვა წარმოება. ვინ არ იცის, რომ თამბაქო საშინლად აშრობს მიწის სინოყიერეს; ძლიერ მძლავრი უნდა იყოს ნიადაგი, რომ თამბაქოს ზედი-ზედ ორ მოსვლაზედ ამ მცენარეს გაუძლოს. როცა ერთი მიწა გამოიფიტება ერთის ან ორი მოსვლის შემდეგ, თამბაქოს მეორე ალაგას დარგავენ, აქედამ გადადიან მესამეზედ, და რამდენისამე წლის განმავალობაში სულ ჩამოუვლის ესე მთელ სახნავ მიწას (რომელიც, როგორც ვიცით, ბევრი არ არის). ამ ძალა-გამოლეულ ნიადაგზედ სთესავენ ღომსა და სიმინდს, მაგრამ აქ ამ მცენარეების მოსავალიც ერთი-სამად კლებულობს. კიდევ ვერ მოუსწრია გასწორება პირველ ნიადაგს, რომ მას მოუწევს რიგით მისი შემჭმელი თამბაქო. ამ სახით ჩვენში ნიადაგს ყოველ წლობით აკლდება ძალა, და ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომ მალე ყველაფრის მოსავალი შესამჩნევად შემცირდება. ამ უბედურებას მარტო ის უშველის, რომ ხალხი შეეჩვევოდეს მიწის გაპატივებას. თუ სხვა აღარა, სათამბაქო მიწა მაინც უნდა იპატივებოდეს; მაშინ ერთი და იგივე მიწა გახდება სამუდამო თამბაქოს მომცემი და სხვა კი ისედაც მოიტანს სხვა ნაყოფს.

მართალია, ჰყიდიან თამბაქოსა და იღებენ გვარიან ძალ ფულებს, მაგრამ მეორეს მხრით უნდა იყიდონ სიმინდი, ღომი, ჩალა და სხვები, «თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე»-ო, როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში, სწორედ ეს არის.

რომ შევკრიბოთ ერთად ყველა დღევანდელი წარმოებანი გურულებისა, დიდი არ იქნება ჯამი გურიის შემოსავლისა. ცოტაოდენი შემოსავალი შემოაქვს სიმინდს, ღომს კიდევ უფრო ცოტა, ცოტაოდენი კიდევ თამბაქოს და ეს არის და ესა.

(შემდეგი იქნება)

«ლესნიჩი» სდგას დახლიდარივით და ჰყიდის ტყეს, თუ კი ეგეთი ცუდია ტყეების გაჩეხა, სულ აღარ უნდა აჰრევინებდნენ ტყესა და?! თორემ თუ ბაჟი მიეცი; მაშინ მოსჭერ, რამდენიც გინდა და თუ არ მიეცი და— მაშინ კი, ტყეც გაფუჭდება, წყლებიც დაშრება და ჰაერიც წახდებაო...“ გლეხებს ეს ახალი მათთვის გაუგებელი ტყის წესები ჰგონიათ დროებით შემოღებული მხოლოდ შემოსავლის მომატებისათვის, როგორც ჰქვის ბაჟი და ჰგონიათ... „არ შეიძლება ამისთანა წესებმა დიდ-ხანს გასტანონ, გამოჩნდება ვინმე მადლიანი, კაცი და მოსპობს ამ წესებსაო.“

თითონ ტყის მცველებსაც სრულებით არ ესმისთ ტყის დაცვის მნიშვნელობა და თითონვე უკეირთ... საზოგადოდ, ტყის მცველებად სდგებიან ისეთები, რომელთაც უსწავლიათ ცოტაოდენი წერა-კითხვა, არ შეუძლიანთ გლეხური შრომა; უმეტესს ნაწილად ესენი არიან: მილიციაში ნამყოფები, გამოცვლილი მამასახლისები, მოსამართლეები, ხან-და-ხან გამოერევა ხოლმე იმათში ღარიბი აზნაურიშვილი და თავადიშვილიც...

შესანიშნავია, რომ გლეხები აქცევენ ყურადღებას შემდეგ გარემოებასაც, ისინი ჰხედვენ რომ მთავრობა მარტო იმათ უშლის უბაჟოდ ტყის მოჭრას და სხვა ნაირად არა ზრუნავს ტყეზედ: მაგალ., არ ჰრგავს უტყეო ადგილებზედ ახალ ტყეებსაო, ჩვენ მხარეზედ ტყეები ლამის ამოაგდოს ბოგანომ; გლეხები ლაპარაკობენ, რატომ ამეებს კი ყურადღებას არ აქცევენ, თუ კი ეგრე გული შესტკივათ ტყისათვისაო. ასეა, თუ ისე დიდი ჩივილია ყველგან ტყის წესებზედ, ტყის ყარაულებზედ... მეტადრე ჩვენ მხარეზედ...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთში ვლადიმერის გუბერნიაში ერთი განთქმული ფაბრიკაა, რომელიც ვაჭარ მოროზოვებს ეკუთვნით. ამ ფაბრიკაზე 11 ათასამდე კაცი მუშაობდა. შარშან ამ ფაბრიკაზე სხვა-და-სხვა უწესოების გამო დიდი არეულობა მოხდა მუშებისა. მუშების დასამშვიდებლად და არეულობის მოსასპობლად მთავრობამ ჯარი გაგზავნა. არეულობის მოთავენი დაიჭირეს და სასამართლოში მისცეს. ამ დღეებში ამათი საქმე გაირჩა, სასამართლომ ესენი დამნაშავედ ვერ დაინახა და ყველანი გაამართლა. გაზეთმა „Московкія Вѣломости“-მ თავისებურად შეჰხედა ამ საქმესა და აი რას ამბობს:

გუშინ, კურთხეულ ძველ ქალაქსა ვლადიმირში ას ერთი ზარბაზანი გავარდა და რუსეთი დიდის პატივით მიეგება ახლად დაბადებულს „მუშების საქმეს“ („рабочій вопросъ“). მაშ გაუმარჯოს „მუშების საქმეს“ და „გასჯის უფლებასა“ (droit au travail!). დრო იყო, ამასაც რუსეთში თავი ამოეჩინა. სამასხარო სასამართლო ხომ გვაქვს, ჯამბაზობა და ლაყბობა ხომ სუფევს ჩვენს ახალს სასამართლოებში, — მაშ „მუშების საქმე“ სრულის თავის ამალით როგორ არ უნდა გვქონოდაო. როცა ევროპიის სხვა-და-სხვა დაწესებულებანი ტკაკი-მასხარულად გადმოვიტანეთ ჩვენს ნიადაგზე, განა ამას თან არ მოჰყვა სოციალიზმი და ათასგვარი მკვლელობა, რომელთაც რუსეთს სახელი გაუტეხეს მთელ ქვეყანაშიო.

ამ გვარად ჰკიცხავს გაზეთი ახალ დაწესებულებათა, რომელიც რუსეთმა შემოიღო ევროპის მიბაძვით. დროაო, ამბობს გაზეთი, ყველა ამას თავი დავანებოთ, დროა, დავრწმუნდეთ, რომ ევროპის მიბაძვამ ჩვენ ვნების მეტი არა მოგვიტანა-რაო.

ბოლოს გაზეთი ისევ არეულთ მუშების საქმეს უბრუნდება და შემდეგ კითხვას იძლევა: „საჭირო იყო და რად იყო საჭირო, რომ შემფოთებულნი მუშები სასამართლოში მისცესო?“ გაზეთი თვითონვე იძლევა პასუხს:

რას მოელოდნენ ჩვენს სასამართლოდამაო? — ამბობს გაზეთი. მეტი რა უნდა მოგველოდნა, თუ არ შფოთის ალქვრაო... ხალხთან ხუმრობა და თამაში საშიშიაო... რას იფიქრებენ ეხლა დამნაშავე მუშები, რომელნიც ვლადიმერის საოლქო სასამართლომ გაამართლა? ამ გარდაწყვეტილების ამბავი უცბად მოეფინება ყველგან, სადაც კი მრეწველობაა. ჩვენ კორრესპონდენტს, რომელიც სასამართლოს გარდაწყვეტილების შემდეგ მაშინვე უკან დაბრუნდა ვლადიმერიდამ, კიდეც მოუკრავს ყური, რომ ყოველ სტანციებზე ხალხი ამაზე ლაპარაკობსო...

რა აწუხებს გაზეთსა? ვითომ მუშების ყოფა-ცხოვრება, სვე-ბედი! არა გაზეთის აზრი სულ სხვა არის. მუშების სასამართლოში მიცემა, ამ კამედიის გამართვა, სრულიად საჭირო არ იყოვო, ამბობს გაზეთი. ამ არეულობაში არც მუშები არიან ბრალნი, არც ფაბრიკის პატრონებიო. მუშებს სხვები ჰყავნდა ხელის შემწყობნი, მეთაურნიო. არც სამართალი იყო საჭირო და არც საქმეების ხლართვა, საკმაო იყო, მთავრობას ესენი დაესაჯა პირ-და-პირაო.

ამ სახით, გაზეთის აზრით, ამ არეულობის მიზეზი — ფაბრიკის მმართველობის უწესობა და მუშების შევიწროებული ყოფა-ცხოვრება კი არა ყოფილა, არა, ამ არეულობაში დამნაშავენი არიან რამდენიმე სახელმწიფოს წინააღმდეგი კაცი, რომელნიც ძალად საქმეებს ურევენ და მუშებს აღელვებენ. ასე ჰფიქრობს გაზეთი «Московскія Вѣдомости». სულ სხვას ამბობს გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი.

სასამართლოში სხვათა შორის განიხილესო, ამბობს გაზეთი, რა ჯარიმა ერთმეოდათ მუშებსა. საყურადღებოა ეს ამბავიო. მაგალითად, მუშა მოსეენოკს, რომელიც, თვით ფაბრიკის ადმინისტრაციის სიტყვით, ერთს უკეთესს მუშად ითვლებოდა, ერთის თვის განმავლობაში აუღია სულ 4 მან. და 34 კაპ. და ამ თვეშივე ჯარიმა გადაჰხდია 91 კაპ., ვოლკოვს ერთს თვეში შეუძენია 14 მან. და 51 კაპ., ჯარიმა გადუხდია 1 მან., და 65 კაპ., და სხვანი და სხვანიო.

ამ ციფრების განმარტება საჭირო აღარ არის.

* * *

ჯვარ-წერის, ცოლ-ქმრობას გაყრილობის საქმე, რომელზედაც ამდენი ლაპარაკია და აქამდინაც ვერა მოუხერხებიათ რა, მდაბიო ხალხს ადვილად გარდუწყვეტია. უბრალო ბარათს აძლევს თავის ცოლს, რომ ცოლად აღარ მინდიხარ და სხვაზედ გათხოვების ნებას გაძლევო და ამით საქმეს ათავებს. ერთი ამ გვარი საქმე ოდესის საოლქო სასამართლოში ყოფილა გარჩეული და ბრალდებული, რომელსაც ცოცხალი ცოლი ჰყოლია და მეორე ცოლი შეურთავს, სასამართლოს გაუმართლებია. საყურადღებოა ბარათი, რომელიც ბრალდებულს თავის პირველის ცოლისთვის მიუცია. მოგვყავს ეს ბარათი აქ სიტყვა-სიტყვით გაზეთ «Одесскій Вѣстникъ»-იდამ.

მე, ქვემორე ამის ხელის-მომწერელი, ეგნატე კაპელიუშინი ვაძლევ ამ ხელწერილს ჩემს კანონიერს ცოლს მელანიას არტემის ასულს მასზედ, რომ მე მეორედ კანონიერად ჯვარი დავიწერე ბესარაბიაში მცხოვრებ ქალზე ანასტასია ტარასოვსკის ასულზე. მეორედ დაქორწინების გამო მე სრულს ნებას ვაძლევ ჩემს პირველს ცოლს მელანიასა, — გათხოვდეს ისიც მეორედ ვისზედაცა ჰსურდეს. ჩემს ცოლს ამისი სრული უფლება აქვს და ჩემის მხრივ არა რაიმე დაბრკოლება არ იქნება. რომ ეს ხელ-წერილი ნამდვილია, ამაზედ ხელს ვაწერ სამსახურ შესრულებული უნტერ-აფიცერი ეგნატე კაპელიუშინი. მოწმებად იყვნენ: ესა და ესა (ჩამოთვლილია გვარები.)

აკი ამბობენ, რომ გლეხ-კაცობას უფრო სასტიკადა აქვს დაცული ცოლ-ქმრობის სიმტკიცეო! ამაზედ მარტივად საქმის გარდაწყვეტა კიდევ იქნება.

## უცხოეთი

**ამერიკა.** ამერიკაში გაზეთები სულ იმაზე ლაპარაკობენ თურმე ახლა, რომ პრეზიდენტს გროვერ კლივლანდს ცოლი შეურთავს. ქორწილი ჩუმად გადაუხდიათ, შინაურულად, არავითარი დიდი ამბავი და მზადება არა ყოფილა. საცოლეს მხრით სულ რამდენიმე მისი ნათესავი დასწრებია ქორწილს. არც ერთი რეპორტიორი გაზეთისა პრეზიდენტს არ მიუღია ქორწილის დროს. არც წინად უთქვამს რამე თავის საოჯახო საქმეებზედ მეგაზეთეთათვის, რომელთაც, რაკი ვერა შეიტყეს-რა ნამდვილი, ვინ იცის, რა არ მოაყოლეს, ვინ იცის, რა ასირებული ამბავი არ მოუთხრეს მკითხველებს პრეზიდენტის საცოლოზედ.

ერთი ოჯახი არის ამერიკაშიო. ეს ოჯახი სულ ორის დედათა სქესის ადამიანისაგან შესდგებაო. ორთავე ისეთს მდგომარეობაში არიან, რომ შეუძლიანთ გასთხოვდნენო. ერთი არის ქვრივი, ძალიან ლამაზი ქალი მისტრის ფოლსომი, ესე ორმოცის წლისა, მაგრამ მშვენიერის ახალ-გაზდა შესახედაობისა. მეორეა ამისი გასათხოვარი ქალი-შვილი, 22 წლისა, ყოვლად მშვენიერი, დიდად განათლებული, კარგად მცოდნე ლათინურისა და ახალის ენებისა და დიდის მათემატიკურის ნიჭის პატრონიო. ერთის სიტყვით, ეს ახალ-გაზდა ქალი, ნამდვილი სწავლული ქალია თურმე, მაგრამ ის ნაკლულევანება კი არა აქვს, რომელიც იშვიათი არ არის საზოგადოდ ნასწავლ ქალშიო. მისს ფოლსომი-კი თუმცა ნასწავლია, მაგრამ მაინც მშვენიერი თვალ-ტანადი ეშხიანი შავ-გვრემანი ქალია, ცეცხლივით თვალები აქვს და მომხიბლავი პატარა პირის-სახე. მისს-ფოლსომი — ქალი-შვილი პირ-წავარდნილი დედაა თურმე, რომელსაც ამერიკაში შესანიშნავის სილამაზის ხმა ჰქონდა დავარდნილი და რომელიც დღესაც ფრიად მოხდენილი, კოხტა ქალიაო.

ასეთის ყოვლის სიკეთით შემკული ქალი, როგორიც არის მის ფრენს-ფოლსომი, რასაკვირველია, კარგი საცოლე იქნებოდა ჩრდილო-ამერიკის პირველის დიდებულისა და სახელმწიფო კაცისათვის. მაგრამ ზოგიერთმა გაზეთებმა ასე გასსაჯეს, ვითომ, რადგან პრეზიდენტი ორმოც-და-ათის წლისაო, უფრო დასაჯერია, რომ პრეზიდენტი დედას შეირთავს და არა მის ქალსაო.

ორმოც-და-ათის წლის პრეზიდენტმა მაინც ორმოცის წლის დედა კი არ აირჩია მეუღლედ, არამედ ოც-და-ორის წლის მისი ქალი. საკვირველი ის არის, რომ ეს ნორჩი, ჭკვიანი, განათლებული ქალი მისთხოვდა შუა ხანს გადაცილებულს კაცს არა რაიმე ანგარიშის გამო, არა პატივ-მოყვარეობის მიზეზით, არამედ გულ-წრფელის სიყვარულის მიზეზით არა-ახალ-გაზდა საქმროს მიმართ.

მისს ფრენს-ფოლსომი, როცა თურმე პრეზიდენტმა დანიშნა და სიყვარული გამოუცხადა, ღარიბი ქალი იყო, მაგრამ ვიდრე მისთხოვდებოდა პრეზიდენტს, მემკვიდრეობა დარჩა თავის პაპისაგან ერთის მილლიონის ფრანკისაო. ამ გვარმა ბედმაც ხელი არ აალებინა ქალს ხნიერის საქმროსაგან და არ მოაძებნინა უფრო შესაფერი ახალ-გაზდა საქმრო, რომელიც, რასაკვირველია, ერთი და ორი არ იყო მარტოვო.

## სხვა-და-სხვა ამბავი

**შემწეობა თოკით, ან ხელით დამრჩვალისა.** ყველაზედ უწინარესს თოკი უნდა შემოაცალოთ ყელიდგან, შემდეგ საწოლზე დააწვინოთ, თავი მაღლა დაუდოთ ბალიშზე, გაატიტვლოთ და სახესა და გულ-მკერდზედ ცივი წყალი შეასხუროთ. თუ კაცი 10—12 წუთზედ მეტი არა ყოფილა ჩამოკიდებული, ეს საშუალება საკმარისია მის მოსაბრუნებლად. თუ დამრჩვალს სახე გალურჯებული ჰქონდეს, თვალები ბუდიდგან გადმოსული, ენა გამოგდებული, ამ შემთხვევაში საჩქაროდ მკლავიდამ ერთი, ან ორი ფინჯანი სისხლი უნდა გამოუშვათ. თავზე ცივი ტილოები უნდა შემოადვათ, ფრთხილად მკერდი დაუზილოთ და ჰაერი ჩაჰბეროთ. დაზელვას ფეხისა და ხელის ჩონჩხებიდგან უნდა მოჰყვეთ და ისე აჰყვეთ ზემოდ. როდესაც დამრჩვალი გონზედ მოვა, ოყნა უნდა გაუკეთოთ თბილის წყლისა, მარილისა და ძმრისა და ყოველ ათ წუთზე ნიშადურის სპირტი, ან ცხარე ძმარი ასუნებინოთ. როცა ავად-მყოფი შეიძლებს, ერთის სტოლის კოვზი სასაქმებელი, ან გენაგერჩაკის ზეთი უნდა დაალევინოთ და პირველ ორ-სამ დღეს ჩაისა და ბულიონის მეტი არა დაალევინოთ და არა აჭამოთ-რა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ორი-სამის საათის ცდილობის შემდეგაც-კი ავად-მყოფი გონზედ ვერ მოჰყავთ, მაშინ მთელს ტანზედ თბილი საბან-ბალიში უნდა შემოაწყოთ, — გულ-მკერდი მაღლა დაუდოთ, ის ადგილი, რომლიდგანაც სისხლი გამოუშვათ, მაგრად შეუხვიოთ და რამდენისამე ხნით ისე დაანებოთ თავი და თვალი კი გეჭიროთ ზედა. ხშირად ამ გვარად თავ-დანებებული ავად-მყოფი 10—12 საათს შემდეგ გამობრუნდება და გონს მოდის. თუ ამანაც არ უშველოს, თავი გაანებეთ და თუ ხრწნა დაიწყოს, მაშინ-კი აშკარა იქნება, რომ მისი მორჩენა შეუძლებელია.

**მეხ-დაცემულთა შემწეობა.** თუ მეხი სახლში, სადგომში ჩამოვარდა და კაცი მის მიერ დაზნდა, მაშინვე გარედ, წმინდა ჰაერზე უნდა გამოიტანოთ და მთელს ტანზედ თავს გარდა ერთს გოჯზე მიწა შემოადოთ. ამის შემდეგ დაზიანებული ამ მდგომარეობაში უნდა გაუშვათ სამ-ოთხს საათს და ამ დროს განმავლობაში ნახევარ სტაქან წყალში გახსნილი თხუთმეტი წვეთი ნიშადურის სპირტი უნდა ჩაასხათ პირში; შემდეგ შუბლი ძმრით დაუზილოთ, საფეთქლები-კი ნიშადურის სპირტით და ნიშადურისავე სპირტი ასუნებინოთ ხოლმე ხშირად. ყველა ეს საშუალებანი სამის საათის განმავალობაში უნდა იხმაროთ. როდესაც ავად-მყოფი გონებაზედ მოვა, გულის-კოვზთან, წვივებზე და მხრებზე მდოგვი (გარჩიცა) უნდა შემოადვათ და თბილი ჩაი დაალევინოთ. თუ მეხ-დაცემულს სახე გაწითლებული აქვს, თავზედ ცივი ტილოები უნდა შემოადვათ. როდესაც ავად-მყოფი სრულიად გამოკეთდება, სასაქმებელი უნდა დაალევინოთ.

**შემწეობა მთვრალისა.** როდესაც მეტის-მეტად დალეული უგონოდ გდია, უნდა წმინდა და გრილ ჰაერიან ოთახში დააწვინოთ, ტანთ გახადოთ და თავი და გულ-მკერდი დანარჩენ სხეულზე მაღლა დაუდვათ; ყოველ ოცს წუთზე ავად-მყოფს უნდა ჩაასხათ პირში თხუთმეტი წვეთი ნიშადურის სპირტი ნახევარ სტაქან წყალში გახსნილი. შემდეგ უნდა პირ-აზიდებინოთ, ხელებსა და ფეხებზედ მდოგვი შემოადვათ და თბილის წყლისა, მარილისა და ძმრის სასაქმებელი გაუკეთოთ. როდესაც ავად-მყოფი გონებაზედ მოვა, შავი ყავა, ან ლიმონით ჩაი უნდა დაალევინოთ.

## დეპეშა

31 მაისს

**რიბინსკი.** გუშინ ცეცხლმა დასწვა 7 საქონლით დატვირთული ნავი, 4 დიდი ცისტერნიანი გემი და 16 ცარიელი ნავი. მომეტებული ნაწილი საქონლისა დაუზღვეველი იყო.

**პარიჟი.** პალატის მიერ კენჭ-ჩამოტარებული პროექტი ბრუსისა ნებას აძლევს მთავრობას დანარჩენ პრინცებს განდევნისას ადმინისტრატიულის წესით, ნება აქვს აგრეთვე, ამ პროექტის ძალით, პრინცებს ხმა ჩამოართვას და კანონის დარღვევისათვის დაამწყვდიოს ციხეში ორის წლიდამ ხუთს წლამდე.

2 ივნისს

**მიუნხენი.** გუშინ ხეირნობის დროს ბერგის ციხე-დარბაზის ბაღში ბავარიის კოროლი გადავარდა ტბაში და დაირჩო. კოროლს თან ახლდა თავისი საკუთარი ექიმი გუდდენი, რომელიც გადავარდა აგრეთვე კოროლის დასახსნელად, მაგრამ თავადაც დაირჩო. როცა ორთავეს გვამი წყლიდამ ამოიღეს, აღმოჩნდა, რომ გუდდენს სახე სულ დაკაწრული ჰქონდა; ცხადია რომ კოროლს არა ნდომებია გადარჩენა და ებრძოდა ექიმს. სამი მინისტრი ბავარიისა წავიდა ბერგის ციხე-დარბაზში კოროლის სიკვდილის თაობაზედ ოქმის შესადგენად. კოროლის გვამს ჩქარა გადმოიტანენ მიუნხენს. კოროლის მემკვიდრედ აღიარებულ იქმნა ძმა მისი, პრინცი ოტტო 1-ლი; რეგენტად დარჩება პრინცი ლუიტპოლდი. ჯარებს ფიცი მიადებინეს კოროლისა და რეგენტის ერთგულებაზედ. დღეს გამოაცხადეს ექიმების აზრი, ჯერ ისევ 8 ივნისსვე დაწყებილი ექიმების აზრით, მიცვალებული კოროლი ისეთის სიგიჟით იყო შეპყრობილი, რომლის მორჩენაც შეუძლებელი იყოვო.

3 ივნისს

**პეტერბურგი.** სენატმა მოიწონა კასსაციონური საჩივარი ანტონ ყორდანოვისა და სხვებისა ტფილისის სასამართლო პალატის გარდაწყვეტილებაზე, რომლითაც ჰბრალდებოდათ: ყორდანოვს შეგულიანება

(подстрекательство) და სხვებს, უკანონო ხვავებს სიგლების შედგენა იმ გან-ზრახვით, რომ ტერ-მიკირტიჩიანცის გირაოზის წერილი გაეუქმებინათ; ხელი მისცემის ამ საჩივრის გამო დაად-გინა: პოლიციის გარდაწყვეტილება გაუქმდეს, საქმე სხვა დეპარტამენტს გადაეცეს და ხელ-ახლად გაინარ-ჩეს და გარდა ამისა, სასამართლო პალატას შენიშვნა მიეცეს, სისხლის სამართლის კანონების 265 მუხლის ძალით.

---

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივნისის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

**ივნისი 30 დღით არის.**

4 დღე ოთხშაბათი. წმ. მიტრო-ფანესი, ზოსიმესი. კათ. ფრანცისკისა და დეზიდერიისა.

ალა მაჰმად ხანი მოკლულ იქმნა შუშაში განთიადისას 1797 წ. ტფილისში პირვე-ლად იქმნა არჩეული თავად-აზნაურთა წი-ნამძღოლად დეისტვ. სტატ. სოვეტ. თ. გარსევან ჭავჭავაძე, 1803 წელს. გავსება მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—0—23. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 7—26 ღ. ჩადის 4—16 ნღ.

5 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწამე დოროთეოს. სომეხთა; მარხვა. კათ. ბონი-ფაციისა. მუსულმანთა: 15 დღე თთვისა რა-მაზან, 1303 ჰიჯრისა. დაბადება იმამის მაჰმედ-ტაგოსი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—24. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 8—19 ღ. ჩადის 5—2 ნღ.

6 დღე პარასკევი. ღირსისა ბესა-რიონ, ქალწულ-მოწამე თეკლასი, სუსანა-სი. სომ. მარხვა წმ. ილიასი. კათ. ნორ-მერტისა და კლავდისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—11. ტფილისში მზე ამოდის 4—25. ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 9—4ღ. ჩადის 5—55 ნღ.

7 დღე შაბათი. მოწ. თეოდოტე, მასკელ. სომეხთა ხსნილია. კათ. რობერტი-სა, სამინის და ეპისკ. პავლესი. ჭეშმარი-ტი შუა-დღე 12—1—2. ტფილისში მზე ამოდის 4—25. ჩადის 7—37, მთვარე ამო-დის 9—49 ღ. ჩადის 6—49.

8 დღე კვირა. წმ. დიდისა მოწამი-სა თეოდორე სტრატილატისა, ალების-და-მე პეტრე-პავლეს მარხვისა. მარხვაა ორი კვირა და ექვსი დღე. სომეხთა: ნახატონაქი-კათ. დღესასწაული ყოვლად წმიდისა სამე-ბისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—14: ტფილისში მზე ამოდის 4—25; ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 10—21 ღ. ჩადის 7—44.

9 დღე ორშაბათი. წმ. კირილე ეპისკ. სომ. წმ. ქალწ. მოწამ. რიფსიმესი. ნახატონაქი. კათოლ. ვიკენტისა და ფელიცი-ანისა. მუსულმ: 19 დღე თთვისა რამაზან. დღე იმამ ალის დაჭრისა (შიიტებს). დაიწვა ტფილისში 1883 წ. საქმენი ობოლთა სა-სამართლოსი, არხივი და დიდი წილი ქა-ლაქის საბჭოს საქმეთა და საქალაქო და სავაჭრო გამგეობისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—37. ტფილისში მზე ამოდი 4—25. ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 10—50 ღ. ჩადის 8—40.

---

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | $2^1/_2$ | › |
| › › 2 › | 2 | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | $4^1/_2$ | › |
| › › 2— | 3 | › |
| › › 3 › | $2^1/_2$ | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | $4^1/_2$ | › |
| მე-2 ხარისხისა . . | $3^1/$ | › |
| მე-3 — . . . | 3 | › |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი . . . . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარ-ტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სა-ღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივ-ლის).

კვირაობით სადამოთი სტამბოლიდამ-მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბა-თობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დი-ლით.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 35 | ბათუმი . . | — | — | 8 | 35 |
| ავჭალა. . . | 8 | 52 | 8 | 55 | ქობულეთი . | 9 | 25 | 9 | 28 |
| მცხეთა. . . | 9 | 13 | 9 | 21 | ნატანები . . | 9 | 54 | 9 | 57 |
| ქსანი . . . | 9 | 39 | 9 | 41 | სუფსა . . . | 10 | 21 | 10 | 27 |
| კასპი. . . . | 10 | 6 | 10 | 9 | ლანჩხუთი . | 11 | — | 11 | 3 |
| გრაკალი . . | 10 | 29 | 10 | 31 | ნიგოითი . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| გორი . . . | 10 | 54 | 11 | 4 | საჯავახო. . | 11 | 39 | 11 | 41 |
| ქარელი . . | 11 | 33 | 11 | 36 | სამტრედია . | 11 | 56 | 12 | 15 |
| გომი . . . | 12 | — | 12 | 4 | კოპიტნარი . | 12 | 35 | 12 | 37 |
| ხაშური . . | 12 | 21 | 12 | 41 | რიონი . . . | 1 | 7 | 1 | 20 |
| სურამი . . | 12 | 53 | 12 | 56 | აჯამეთი . . | 1 | 32 | 1 | 34 |
| ფონი . . . | 1 | 24 | 1 | 27 | ყვირილა . . | 2 | 11 | 2 | 26 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 14 | 2 | 34 | ძირულა . . | 3 | 4 | 3 | 6 |
| მარელისი . | 3 | 3 | 3 | 5 | ბელაგორი . | 3 | 33 | 3 | 36 |
| ბელაგორი . | 3 | 32 | 3 | 35 | მარელისი . | 4 | 3 | 4 | 5 |
| ძირულა . . | 4 | 2 | 4 | 5 | ბეჟათუბანი | 4 | 34 | 4 | 54 |
| ყვირილა. . | 4 | 43 | 4 | 58 | ფონი . . . | 5 | 41 | 5 | 44 |
| აჯამეთი . . | 5 | 35 | 5 | 37 | | სადამოთი | | | |
| | სადამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 12 | 6 | 15 |
| რიონი. . . | 5 | 49 | 6 | 4 | ხაშური . . | 6 | 27 | 6 | 42 |
| კოპიტნარი . | 6 | 34 | 6 | 36 | გომი . . . | 6 | 59 | 7 | 3 |
| სამტრედია . | 6 | 56 | 7 | 16 | ქარელი . . | 7 | 27 | 7 | 30 |
| საჯავახო. . | 7 | 31 | 7 | 33 | გორი . . . | 7 | 59 | 8 | 9 |
| ნიგოითი . . | 7 | 56 | 7 | 59 | გრაკალი . . | 8 | 32 | 8 | 34 |
| ლანჩხუთი . | 8 | 10 | 8 | 14 | კასპი. . . . | 8 | 54 | 8 | 57 |
| სუფსა . . . | 8 | 47 | 8 | 55 | ქსანი . . . | 9 | 22 | 9 | 24 |
| ნატანები . . | 9 | 19 | 9 | 22 | მცხეთა. . . | 9 | 42 | 9 | 48 |
| ქობულეთი . | 9 | 48 | 9 | 51 | ავჭალა. . . | 10 | 6 | 10 | 8 |
| ბათუმი . . | 10 | 41 | — | — | ტფილისი . | 10 | 25 | 10 | 55 |

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 15 | სურამი. . . | — | — | 2 | 35 |
| ავჭალა . . | 3 | 18 | 3 | 41 | ხაშური . . | 2 | 47 | 3 | 2 |
| მცხეთა. . . | 4 | 6 | 4 | 16 | გომი . . . | 3 | 26 | 3 | 31 |
| ქსანი . . . | 4 | 42 | 4 | 45 | ქარელი . . | 4 | 5 | 4 | 12 |
| კასპი . . . | 5 | 20 | 5 | 25 | გორი . . . | 4 | 53 | 5 | 8 |
| გრაკალი . . | 5 | 53 | 5 | 56 | გრაკალი . . | 5 | 40 | 5 | 45 |
| | სადამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 28 | 6 | 43 | კასპი . . . | 6 | 13 | 6 | 19 |
| ქარელი . . | 7 | 24 | 7 | 29 | ქსანი . . . | 6 | 54 | 6 | 57 |
| გომი . . . | 8 | 3 | 8 | 7 | მცხეთა . . | 7 | 23 | 7 | 33 |
| ხაშური . . | 8 | 31 | 8 | 41 | ავჭალა . . | 7 | 58 | 8 | 1 |
| სურამი . . | 8 | 58 | — | — | ტფილისი . | 8 | 14 | | |

# განცხადებანი

### ტფილისის საქალაქო გამგეობა

უმაღლესად დამტკიცებულის „საქალაქო დებულების“ მე-17 და 22 მუხლთა ძალით და საქალაქო საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ ამ წლის 5 მაისს მოიწვევს ბბ-ნთ სახლის პატრონთ,—რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ მომავალ საქალაქო არჩევანებში ოთხის წლის ვადით 1887—1890 წწ. შემოიტანონ უთუოდ ამ წლის 31 ივლისამდე ის ფული, რაც მათ მამულებზე დასაფასებელი გარდა-სახადი ირიცხება დარჩენილი. ამასთანავე გამგეობა წინ-და-წინვე აუწყებს იმათ, რომელნიც დანიშ-ნულს ვადაზედ არ შემოიტანენ მათზე დარჩენილს ფულს სრუ-ლიად, რომ იგინი საარჩევანო სიებიდამ გამოირიცხებიან. (3—1)

---

### ტფილისის საქალაქო გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ საქალაქო საბჭომ მომავალის საყოველთაო საქალაქო არჩევანების გამო ოთხის წლის ვადით 1887—1890 წლამდე დაადგინა.

1) დასრულდეს საარჩევანო სიები ამ წლის 1-ლ აგვისტომდე.

2) მიეცეს ნება იმათ, რომელ-თაც წილი აქვთ საერთო მამულ-ში, არა უგვიანეს 1-ის ივლისისა, გამოუცხადონ გამგეობას, რომ მონაწილენი არიან საერთო მამუ-ლისა და მოიხსენონ ამასთანავე, რა წილი ეკუთვნით მათ. როცა ეს მოხსენება შემოვა გამგეობაში, გამგეობა გაჰყოფს მონაწილეთა შორის გარდასახადს თანაბარ ნა-წილებად, თუ მათი რიცხვი ცნო-ბილი იქნება.

3) ამომრჩეველთა ქვრივებმა და მცირე-წლოვანთა და არა-სრულ-წლოვანთა ამომრჩეველთა მზრუნ-ველებმა არჩევანებამდე შვიდის დღით ადრე თითოეულ საარჩევა-ნო კრებისა უნდა წარუდგინონ ქალაქის თავს პირველებმა—ქვრი-ლობის წერილი გერბოვის ქაღა-ლდზე (ცირკულიარი შინაგან სა-ქმეთა მინისტრისა 26 ნოემბრიდამ 1876 წ. № 10766), შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, იმ შემთხვევა-ში, თუ ვინაობა რწმუნებულისა არ იცის გამგეობამ; ხოლო მეო-რეებმა უნდა წარმოადგინონ ბრძა-ნება სამზრუნველო დაწესებულე-ბათა იმის თაობაზედ, რომ ისინი დამტკიცებულნი არიან მზრუნვე-ლთა წოდებაში. როგორც ქვრივ-ნი და მათი რწმუნებული, ისე მზრუნველნი და მათს მზრუნვე-ლობის ქვეშ მყოფნი უნდა ჩაეწე-რონ საარჩევანო სიაში ერთის ნომრით; ხოლო საარჩევანო კრე-ბის დღეს სახელი ამათი უნდა გა-მოიკიდოს კრების დარბაზში.

4) გამგეობის-მიერ დამზადებუ-ლი საარჩევანო სიები საყოველთა-ოდ გამოცხადებულ იქმნას 4 სექ-ტემბერს გაზეთებთა დამატებასა-ვით, დარიგებით ქალაქის ხელის მომწერლებთათვის. ამას გარდა კიდევ სიები გამოიკიდოს საბჭოს დარბაზშიაც.

5) მოხსენებანი ქალაქის მკვიდ-რთა იმ შეცდომის თაობაზედ, რო-მელიც შეიძლება მოხდეს საარჩე-ვანო სიებში, მიიღოს ხოლმე სა-ქალაქო გამგეობამ 7—21 სექტემ-ბრამდე და შემდეგ სიები წარედ-გინოს საბჭოს დასამტკიცებლად.

საქალაქო გამგეობას პატივი აქვს გამოაცხადოს ყოველივე ზემოხსე-ნებული, რათა თავის დროზე წა-რმოადგინონ მოხსენებანი იმათ, ვისაც ხმა აქვს არჩევანებში. (3—1)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამო-ცემა „წერა-კითხვის გამავრცელე-ბელის საზოგადოებისა.“

**ფასი ექვსი შაური**

საწყობი წიგნისა არის წერა-კი-თხვის გამავრცელებელის საზოგა-დოების კანცელარიაში, ბანკის ქუ-ჩაზე (Банковскій переулокъ), სახ-ლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნ-თა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად. (10—1)

---

### გრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

რუსულ ქართული

# ლექსიკონი

ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექ-სიკონებზედ და გამოცემული დ ჩუბი-ნოვისაგან.

ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.

---

### გრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყი-დება ახლად შედგენილი

# ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბე-ნაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მე-თოდიური სახელმძღვანელო სამ-შობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი. (5—4)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

# ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

**ფასი სამი მანათი.**

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

---

Дозволено цензурою Тифлисъ 3 іюня, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, აწყურისკენ ქუჩაზედ №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.